



სალექციო კურსი სამოქალაქო განათლებასა და მშვიდობის მშენებლობაში

„კავკასიურმა სახლმა“ დაიწყო განაცხადების მიღება სალექციო კურსში „სამოქალაქო განათლება და მშვიდობის მშენებლობა“ მონაწილეობის მისაღებად

პროექტის შინაარსი

„კავკასიური სახლი“ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია “International Alert“-თან ერთად ახორციელებს პროექტს „ახალგაზრდული სამოქალაქო დიალოგის ინიციატივა“.

პროექტის მიზანია სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებ ახალგაზრდებს საფუძვლიანი ცოდნა მისცეს დემოკრატიის, სამოქალაქო განათლების, ადამიანის უფლებების, კონფლიქტის ანალიზისა და ნაციონალიზმის საკითხებზე. სალექციო კურსი დაყოფილია ორ ნაწილად. ლექცია-სემინარები აკადემიურ და თეორიულ საკითხებზე ჩატარდება კვირაში ორჯერ „კავკასიურ სახლში.“ სალექციო კურსის მეორე ნაწილი გულისხმობს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან; ასევე თემატური ფილმების ჩვენებასა და დისკუსიებს. პროექტის შედეგად მონაწილეები შეიძენენ ცოდნას და უნარებს, რაც მნიშვნელოვანი იქნება სამომავლოდ პოლიტიკის ფორმირებისა და სამოქალაქო აქტივიზმისთვის.

სალექციო კურსის გავლის შემდეგ მონაწილეთა ნაწილი გაივლის ტრენინგს კონფლიქტების ანალიზში. ტრენინგის შედეგად შერჩეული საუკეთესო კონკურსანტები მონაწილეობას მიიღებენ სამხრეთ კავკასიურ დიალოგში, რომელიც გაიმართება 2018 წელს, ევროპის რომელიმე ქვეყანაში.

სალექციო კურსი დაიწყება 14 ნოემბერს და გაგრძელდება ორი თვე.

ვიდეო რგოლი გასული წლის სალექციო კურსის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ [აქ](#).

შერჩევის კრიტერიუმები

- ასაკი: 20-30 წელი;
- სამიზნე ჯგუფი: სტუდენტები, მკვლევრები, რომელთაც სურთ შეიძინონ/გაიღრმავონ ცოდნა სამოქალაქო განათლებისა და კონფლიქტის ანალიზის მიმართულებით;
- სასურველია ინგლისური და რუსული ენების ცოდნა;

სააპლიკაციო პროცედურა

დაინტერესებულმა პირებმა გამოაგზავნეთ თქვენი CV და სამოტივაციო წერილი, სადაც არგუმენტირებულად იქნება ასახული აღნიშნულ პროექტში თქვენი მონაწილეობის მოტივაცია, შემდეგ ელ-ფოსტაზე: application@caucasianhouse.ge

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 22 ოქტომბერი

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით მაია ურუშაძეს

ელ-ფოსტაზე: maia.urushadze@caucasianhouse.ge;

ან ნომერზე: + 995 577 77 21 23

ორგანიზაციების შესახებ

კავკასიური სახლი

კავკასიური სახლი არის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს და კავკასიის მშვიდობიანი განვითარებისთვის იდეოლოგიური და ინტელექტუალური ბაზისის შექმნა. კავკასიური სახლი მუშაობს რეგიონული განვითარებისა და კავკასიის ხალხთა ინტეგრაციის პროექტებზე. ორგანიზაციის ფუნდამენტური მიზანია რეგიონში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირება და უმცირესობათა ინტეგრაციის ხელშეწყობა სახალხო დიპლომატიისა და კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით. კავკასიური სახლი ჩართულია სამშვიდობო პროცესებში რეგიონის მასშტაბით. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნდობის აღდგენის პროცესში ერთი მხრივ ქართველებს, ხოლო მეორე მხრივ აფხაზებს, ოსებს, რუსებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს და ჩრდილოკავკასიელ ხალხებს შორის.

International Alert

International Alert-ის მისიაა დაეხმაროს კონფლიქტით დაზარებულ მოსახლეობას კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის გზების პოვნაში. ის არის ერთ-ერთი წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც 30 წელია მუშაობს მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით. ორგანიზაცია სამხრეთ კავკასიაში მუშაობს 1993 წლიდან და ხელს უწყობს კონფლიქტით გაყოფილ საზოგადოებებს შორის თანამშრომლობასა და პოზიტიურ ცვლილებებს. ორგანიზაცია თანამშრომლობს სხვადასხვა ჯგუფთან, მათ შორის ბიზნეს სექტორთან, აკადემიურ წრეებთან, ჟურნალისტებთან, მასწავლებლებთან და კულტურის სფეროს მოღვაწეებთან. ორგანიზაციის საქმიანობა მოიცავს ისეთ სფეროებს როგორცაა მშვიდობა, კარგი მმართველობა, ეკონომიკა, გენდერის საკითხები და განვითარება.